

# COVID 19-ის შემდგომი გამოწვევები სამოქალაქო საზოგადობრივი ორგანიზაციებისთვის

ორგანიზაცია: ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

ავტორი: ნინო ხუხუა

დოკუმენტზე მუშაობდნენ: თამუნა ახობაძე; მარიამ ამბროლაძე

## რეზუმე

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დემოკრატიის განვითარებაში. თუმცა ისინი კონკრეტული გამოწვევების წინაშე დგანან და ეს გამოწვევი კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა COVID პანდემიის პირობებში.

განსაკუთრებით COVID-19-ის კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა სამოქალაქო სექტორის მანამდე არსებული რამდენიმე ხანგრძლივი ხარვეზი ფინანსური შესაძლებლობებისა და ფინანსური მდგრადობის სფეროში. ზოგიერთი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეძლებისდაგვარად, უმკლავდება ფინანსურ გამოწვევებს: შეამცირა ფიქსირებული ხარჯები, კერძოდ ხელფასები - ცდილობს შეინარჩუნოს პერსონალი მინიმალური ხელფასით ან პირიქით, გაათავისუფლოს ისინი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციისთვის ონლაინ რეჟიმზე გადასვლა უფრო მოსახერხებელი აღმოჩნდა ღონისძიებების დაზოგვის ხარჯების და საქმიანობის ორგანიზების თვალსაზრისით, ზოგიერთისთვის, კერძოდ, მცირე ზომის ორგანიზაციებისთვის თავიანთი დაგეგმილი საქმიანობის შეუსრულებლობამ გამოიწვია მათი პროდუქტიულობის შემცირება.

აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც COVID 19-ის პანდემიის მსგავს კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოს და საზოგადოებას თავიდან აარიდებს რიგ ხარვეზებს და დროულად უპასუხებს გამოწვევებს: პანდემიამ ნათლად დაანახა სამოქალაქო სექტორს თუ რამდენად აუცილებელია კრიზისების მართვის გეგმის შემუშავება, კარგი მენეჯმენტის გეგმის შექმნა და კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეტაპობრივი მოქმედება. მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსების დივერსიფიკაცია, გააჩნდეთ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები და კრიზისულ სიტუაციებში მარტივად მოახდინონ საქმიანობის ადაპტირება. პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო წინ წამოიწია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის უფრო მეტი და ეფექტური კოორდინაციის საკითხი.

პანდემიაშ სააშვარაოზე გამოიტანა ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევები, როგორიცაა განუჭვრეტელობის განცდა, სტაბილურობის რისკი, გაურკვევლობის შეგრძნება, კონტროლის ნაკლებობა პროცესებზე. ეს კი მნიშვნელოვანდ აფერხებს გრძელვადიან დაგეგმარებას და აქტივობების განხორციელებას. პანდემიის დროს სამუშაო რეჟიმის ცვლილება ზოგიერთისთვის უმტკივნეული იყო, მაშინ, როდესაც ზოგიერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ამის გამო საქმიანობა მთლიანად შეჩერდა. ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება, შესაბამისად, ვალდებულებების შესრულება, რამაც რისკის ქვეშ დააყენა მათი სამომავლო თანამშრომლობა დონორებთან და ორგანიზაციისადმი სანდოობის საკითხი.

ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა მსგავს კრიზისულ სიტუაციებში. სამოქალაქო საზოგადოება, ეს არის ის საჭირო ორგანიზმი, ცოცხალი წარმონაქმნი, რომელიც მიმდინარე პროცესების თანადროულად ვითარდება, იცვლება და გარემოსთან ადაპტირდება. ასეთ პროცესებში მათი ჩართულობა, აქტიურობა, თავდაუზოგავი შრომა, საჭიროებების იდენტიფიცირება, სწორი გეგმების დასახვა, ეფექტური ღონისძიებების განხორციელება არის უმნიშვნელოვანესი. სამოქალაქო საზოგადოების მიერ სწორად შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, შერჩეული კურსი და აქტიური მოქმედება ყოველთვის ეფექტურია და რეალურ შედეგს იძლევა. COVID-19 პანდემიის პროცესში დიდი სამუშაო გასწიეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, საინიციატივო ჯგუფებმა, პანდემიის დროს შექმნილმა მოხალისეობრივმა ჯგუფებმა, რომელთაც აქტიური როლი ითამაშეს რისკის ქვეშ მყოფი პირების დახმარებაში.

## Resume

Civil society organizations play an important role in the development of democracy. However, they face specific challenges and these challenges have become even more noticeable in the context of the COVID pandemic.

The COVID-19 crisis has exacerbated several long-standing deficiencies of the civil society sector in the area of financial capacity and financial sustainability. Some civil society organizations deal with financial challenges as much as possible: cutting back on their fixed expenses, namely salaries and rent, keeping their staff on minimum wages or laying them off.

However, while some organizations find it more convenient to switch to online mode in terms of sparing costs for online events and the organization of activities, for some, particularly

smaller grassroots organizations, the failure to carry out in-person activities has reduced their productivity.

Here are some important recommendations that in crisis situations like the COVID 19 pandemic, will help the state and society, avoid a number of deficiencies and respond to challenges in a timely manner: the pandemic has made it clear to the civil sector how necessary it is to develop a crisis management plan and take timely and step-by-step action in crisis situations. It is important to diversify the finances of civil society organizations, to have alternative sources of funding and to adapt their activities easily in crisis situations. During the pandemic, more effective coordination between civil society and government agencies was further raised/increased.

The pandemic has exposed/brought to light the challenges facing the organization, such as a sense of uncertainty, the risk of stability, a lack of control over processes. This significantly hinders long-term planning and implementation of activities. Changes in the work regime during the pandemic were painless for some, while in the case of some organizations the activities were completely stopped due to COVID-19. Organizations were unable to carry out specific activities, thus fulfilling their obligations, which put at risk their future cooperation with donors and the issue of credibility with the organization.

The activism and involvement of civil society in such crisis situations is very important. Civil society is a necessary, living "organism" that simultaneously develops, changes and adapts to the environment. Their involvement in such processes, activity, selfless work, identification of needs, making the right plans, implementing effective measures are the most important. Properly developed strategic plan, selected course and active action by civil society is always effective and gives real results. During the COVID-19 pandemic process, a great deal of work was done by local organizations, initiative groups, volunteer groups (set up during the pandemic), which played an active role in assisting those at risk.

## შესავალი

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ფოკუს ჯგუფები, ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასების მიზნით. დამატებით გამოყენებულ იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი. სულ შესაძლებელი გახდა 2 ფოკუს ჯგუფის განხორციელება და მასში დაახლოებით 40-მდე მონაწილის ჩართვა. საჭიროებების შეფასების ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა იმერეთის მხარეში არსებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პრობლემებათა მახასიათებლების იდენტიფიცირება.

წამყვან პრობლემათა შორის, პანდემიამ ნათლად დაანახა სამოქალაქო სექტორს თუ რამდენად აუცილებელია კრიზისების მართვის გეგმის შემუშავება, კარგი მენეჯმენტის გეგმის შექმნა და კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეტაპობრივი მოქმედება. კრიზისული სიტუაციებიდან თავის დასაღწევად, ისევე როგორც ჩვეულ რეჟიმში მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის მიღება; პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო წინ წამოიწია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის უფრო მეტი და ეფექტური კოორდინაციის საკითხი, ასევე, ოპერატიული კომუნიკაცია.

გამოწვევები და ძირითადი მიგნებები არ იძლევა მოპოვებული ინფორმაციის მთელს სექტორზე გავრცობის შესაძლებლობას, თუმცა წარმოაჩენს იმერეთის მხარეში არსებულ ძირითად ტენდენციებს. ასევე, დოკუმენტში აღწერილია შეზღუდვები და ის ეთიკური საკითხები, რომელთა გათვალისწინებითაც განხორციელდა საჭიროებათა შეფასება და მომზადდა დოკუმენტი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები

## კვლევის მიზნები

მიზანია, მოახდინოს COVID19-ის შედეგად მიღებული გამოწვევების განსაზღვრა რის წინაშედაც შესაძლოა უკვე არიან ან აღმოჩნდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. გამოკითხვის შედეგად მიღებული პასუხების ანალიზის საფუძველზე მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც ერთის-მხრივ საუბარი არის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობასა და როლზე, ასევე COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე და მეორეს მხრივ დოკუმენტში მოცემულია რეკომენდაციები და ძირითადი გამოწვევები.

## ეთიკური მხარე

გამოკითხვა ჩატარდა ისეთი ეთიკური პრინციპების დაცვით, როგორიცაა ინფორმირებული თანხმობა და წებაყოფლობითი მონაწილეობა, კონფიდენციალობა და „არ ავნო“ პრინციპის დაცვა. გამოკითხვის მიზანი იყო COVID-19 შემდგომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინაარსებული არსებული გამოწვევების საერთო სურათის გამოვლენა და არა ინდივიდუალურ შემთხვევების გამოკვლევა.

ინფორმირებული თანხმობა და  
ნებაყოფლობითი მონაწილეობა:

გამოკითხვაში მონაწილეობამდე  
თითოეულ პირს მიეწოდება ინფორმაცია  
შესწავლის მიზნების, ფორმატის,  
ხანგრძლივობისა და მოპოვებული  
ინფორმაციის დამუშავება/დაცვის  
თაობაზე. შედეგად, მიღებულ იქნება  
მათგან ინფორმირებული თანხმობა, რაც  
ნებაყოფლობითი მონაწილეობის  
უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

კონფიდენციალურობა და მონაცემთა  
დაცვა: მიღებული იქნება მონაწილეების  
პირადი ინფორმაციის დაცვასა და  
კონფიდენციალურად შენახვასთან  
დაკავშირებული ყველა შესაბამისი ზომა.

## მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის მეთოდად განისაზღვრა ფოკუს ჯგუფები. ჯგუფების  
დაკომპლექტებისას, გათვალისწინებულ იქნა მონაწილეთა საერთო მახასიათებლები,  
რაც ხელს უწყობდა ჯგუფის წევრებს შორის გულწრფელობის გამოწვევას, ნდობას და  
საუბრის თავისუფალ მსვლელობას. ფოკუს ჯგუფისას გამოყენებული იქნა ნახევრად-  
სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმა, რაც ერთი მხრივ, იძლეოდა შეხვედრის  
წინასწარ დაგეგმილი ჩარჩოს შესაბამისად წარმართვის შესაძლებლობას და მეორე  
მხრივ, რესპონდენტებს აძლევდა საშუალებას წამოეწიათ საკვლევი საკითხების  
შესაბამისი სხვა თემებიც.

საუბრის თავისუფალი მსვლელობა დაეხმარა მონაწილეების აქტიურ ჩართულობასა  
და საკვლევ საკითხებზე სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება/დაზუსტებას.

ფოკუს ჯგუფების საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 1-დან 1,5 საათამდე. ჯგუფური  
დისკუსიები ჩაიწერა აუდიო საშუალებების გამოყენებით, რომელთა საფუძველზეც  
მომზადდა დეტალური ტრანსკრიპტები. ანალიზის საბოლოო ეტაპისთვის მოხდა  
ძირითადი საჭიროებების შეფასება და მასზე დაფუძნებით რეკომენდაციების  
მომზადება.


## ძირითად გამოწვევები

დღესდღეობით, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების  
საქმიანობა დადებითადაა შეფასებული. სამოქალაქო საზოგადოება ცოცხალი  
ორგანიზმია და ეფექტურად პასუხობს საზოგადოებასა და სახელმწიფოში  
წარმოქმნილ გამოწვევებს. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ გამოწვევების  
საპასუხოდ შექმნილ ორგანიზაციათა რაოდენობის ზრდის ფაქტი, რაც მათ  
საჭიროებასა და სარგებლიანობაზე მეტყველებს.

სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ერთის მხრივ, მან შეითავსა სახელმწიფო თუ ადგილობრივი ინსტიტუციების, ორგანოების როლი და მეორეს მხრივ, გახდა მათი საქმიანობის მაკონტროლებელი რგოლი. მიუხედავად შეთავსებული როლისა, ეს ხელს არ უშლის სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მჭიდროდ ითანამშრომლონ ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ორგანიზაციები დროულად ახდენენ ხელისუფლების წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და კონსტრუქციულად მოუწოდებენ მოგვარებისაკენ, ან თავად სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს და ხშირად მოქმედ აქტორებადაც კი გვევლინებიან ამ პროცესში. შესაძლებელია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის პროცესში ცხადად არ ჩანდეს არასამთავრობო სექტორის როლი, თუმცა ცალსახაა, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით ის ირიბად მაინც ახდენს გავლენას პოლიტიკაზე.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავისი საქმიანობით ჰქმნიან მოქალაქეთათვის იმ აუცილებელ და საჭირო სიკეთეებს, რომელიც საჯარო სექტორის მიერ მათთვის სათანადოდ ან საერთოდ არ არის შეთავაზებული. მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ რესპონდენტების მიერ დასახელებული არგუმენტები: „მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების კომპონენტი, რომელსაც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტრუქტურები აქტიურად ვერ ნერგავენ საგანმანათლებლო პროცესში, ამ ფონზე კი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი შეზღუდული რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფენ უწყვეტი განათლების მიწოდებას ბენეფიციარებისათვის“; „სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელობა და საჭიროება განსაკუთრებით გამოვლინდა პანდემიის პერიოდში მათ მიერ მოხალისეობრივად გაწეული შრომის სახით, რომელიც თავისი მასშტაბებიდან და დადებითი შედეგებიდან გამომდინარე ფასდაუდებელია“.


## როგორ შეაფასებდით, დღეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას?



სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შეფასებისას აუცილებელია შევეხოთ მის სიძლიერესა და განვითარების სტაბილურობას. ერთი შეხედვით ჩანს, რომ საქართველოში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებაა, რასაც ზემოთ მოყვანილი მაგალითები მოწმობს. კერძოდ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ხშირად ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციებს ითავსებს და დიდ ყურადღებას უთმობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მაგალითად გენდერული თანასწორობა და ა.შ.

თავის მხრივ, დღევანდელი სახით საქართველოში წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოება არ არის უნაკლო და ბევრი ქმედითი ნაბიჯია გადასადგმელი მეტად გამლიერებისათვის. მიუხედავად საჯარო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის კარგი პრეცედენტებისა, დღემდე რჩება სამოქალაქო სექტორისადმი სათანადო ნდობის საკითხი ეჭვქვეშ. ერთეულ შემთხვევებში თავად სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მნიშვნელოვან წვლილს თამაშობენ მათი სიძლიერის განსაზღვრაში. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ახლად წარმოქმნილი ორგანიზაციები, რომლებიც პირველ ნაბიჯს დგამენ ამ სფეროში და ხშირად ნაკლები პროფესიონალიზმით გამოირჩევიან ან არც ისე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. მნიშვნელოვანი საკითხი კი, რაც უმეტესად ორგანიზაციათა სიძლიერეს განაპირობებს მათი ფინანსური სტაბილურობაა.

## არის თუ არა დღეს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში?



მიუხედავად სტატისტიკისა და რაოდენობრივი გამოხატულების არქონისა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება სტაბილურია და მართალია, არსებითი ცვლილებები არ შეიმჩნევა განვითარების კუთხით, თუმცა აშკარაა, რომ რეგრესს არ განიცდის და სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით (sustainability index; economic index; freedom house) ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს.


აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება ძირითადად დამოკიდებულია დონორების მიერ გამოცხადებულ გრანტებზე<sup>1</sup>, რაც მკვეთრ გავლენას ახდენს მათი განვითარების სტაბილორობაზე. ბევრი პატარა ორგანიზაცია მცირე გრანტებზეა დამოკიდებული და ე.წ "core grant"-ებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა აქვთ, რაც თავის მხრივ ორგანიზაციას ხელს უშლის ჰქონდეს გრძელვადიანი ხედვა, რომელიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან გავლენაზე. მეორეს მხრივ, ასეთ ორგანიზაციებს ძალიან მცირე შესაძლებლობა აქვთ ორგანიზაციული განვითარების და ძირითადად ასეთი ორგანიზაციები მართვის ნაკლები გამოცდილების მქონე კადრებითაა დაკომპლექტებული. შესაბამისად, ხშირად პატარ-პატარა პრობლემების მოგვარებით შემოიფარგლებან.

აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონულმა ორგანიზაციებმა ხშირად თემისა თუ მათი გუნდის საჭიროებები კარგად არ იციან. დღესდღეობით, არსებობს ბევრი ისეთი

<sup>1</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მხარდაჭერა COVID-19 კრიზისის დროს

ორგანიზაცია, რომელიც სტაბილურად არ მუშაობს, არ ახდენს მუდმივად სერვისის მიწოდებას, რის გამოც რთულია სტაბილურობის შენარჩუნება.

არის თუ არა დღეს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება სტაბილური?



მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ის ძირითადი მიზეზები, რაც რეგიონების მიხედვით სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სხვადასხვა დონეს განაპირობებს. ამ მიზეზთაგან ყურადსალებია რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობა, ურბანული ცხოვრება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოტენციალი. ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებით, „ყველაზე სუსტი სამოქალაქო საზოგადოება რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის მხარესა და მცხეთა-მთიანეთშია, სადაც მოსახლეობა ძლიერ დაქსაქსულია, რეალურად, ისინი წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების არსის საპირისპირო ვიწრო მოდელს, ვიწრო ნათესაურ ჯგუფებს. სამოქალაქო ინტერაქცია კი მოიცავს უცხოებთან ინტეგრაციას და იმისათვის, რომ არესებული სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალოთ, უნდა გავცდეთ ნაცნობ სახეებს“.

რეგიონულ დონეზე ორგანიზაციათა განვითარების სხვადასხვა დონეს განსაზღვრავს ეკონომიკური მდგომარეობაც, რომელთან მჭიდროდ არის კავშირში ბევრი ფაქტორი (სკოლა, მასწავლებელი მედია და ა.შ). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ის ლანდშაფტი, რომელიც დღეს საქართველოშია სახეზე.

აუცილებელია გამოიყოს ის ფაქტიც, რომ რეგიონული ორგანიზაციები განიცდიან ადამიანური რესურსების სიმცირეს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ხშირად სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-კურსებს ორგანიზაციიდან ერთი და იგივე პირები ესწრებიან. საბოლოოდ, ორგანიზაციის განვითარება ერთეულ ადამიანებზეა დამოკიდებული.

სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მიერ საგრანტო კონკურსის გამოცხადების დროს რეგიონის საჭიროებების გათვალისწინება. აქ აზრები შესაძლოა ორად გაიყოს. ერთ შემთხვევაში დონორი ორგანიზაციები ითვალისწინებენ რეგიონის საჭიროებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში არ ხდება სრულად გათვალისწინება და ამას თავისი ლოგიკური მიზეზები აქვს.

პირველი მოსაზრების თანახმად, სულ მცირე თითქმის ყველა საგრანტო კონკურსის დებულებაშია მოცემული პირობა, რომ ორგანიზაციას რეგიონული პარტნიორი ორგანიზაცია უნდა ჰყავდეს პროექტის ფარგლებში. აქ ყურადსაღებია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, პირველი ის თუ რამდენად მართვადია პროექტი, რომ ხარჯების მეტი წილი არ მიემართოს მენეჯმენტისკენ, ვინაიდან რამდენადაც ვიწროვდება პროექტი, იმდედანვე იზრდება ადმინისტრაციული პერსონალი, რაც პირდაპირ მოითხოვს ადმინისტრაციულ ხარჯების ზრდას და თანხების შემცირებას პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად. და მეორე არის ახლად გაჩენილი შუამავალი რგოლები. რეალურად, ამ მოდელმა ვერ გადაჭრა პრობლემა. პირიქით ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა სამოქალაქო საზოგადოება - ის თუ რამდენად მოქნილია ეს ინსტიტუტები. ხანდახან პროცესები იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ორგანიზაციას ადგილზე ის პრობლემები აღარ ხვდება, რაც მანამდე იყო.

მეორე მოსაზრების მიხედვით კი, დონორი ორგანიზაციები ნაკლებად ითვალისწინებენ რეგიონის საჭიროებებს საგრანტო კონკურსის გამოცხადების დროს. აქ მნიშვნელოვან წვლილს თამაშობს სახელმწიფო სტრუქტურების რეკომენდაციები და მათ მიერ დანახული საჭიროებები, რაც შეიძლება გაზვიადებული იყოს ან სათანადო ყურადღება არ მახვილდებოდეს სხვა მნიშვნელოვან თემებზე. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „შეინიშნება ტენდენცია, რომ დონორი ორგანიზაციები მხოლოდ ერთი მიმართულებით აცხადებენ საგრანტო კონკურსებს, კერძოდ გენდერულ საკითხებზე, თუმცა რეგიონისთვის შეიძლება უფრო პრიორიტეტული იყოს არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დევნილთა სამართლებრივი დახმარება, ზოგადად, მათი უფლებების დაცვა და ამ მიმართულებით საგრანტო კონკურსების გამოცხადება“.

სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისა და განვითარების მიმოხილვის პროცესში აუცილებელია შევეხოთ პანდემიას და მის მიერ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე მოხდენილ გავლენას.

ცალსახად, პანდემიის ნეგატიური გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე დიდია. COVID-19-ის კრიზისმა კიდევ უფრო გაამწვავა

სამოქალაქო სექტორის მანამდე არსებული ხანგრძლივი ხარვეზები ფინანსური შესაძლებლობებისა და ფინანსური მდგრადობის მიმართულებით.<sup>2</sup>

ცხადია, რომ COVID 19-მა გარკვეული ზიანი მიაყენა ქვეყანას და ქვეყანაში არსებულ კერძო თუ საჯარო სექტორს. ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ბიზნეს კომპანიებმა განიცადეს ეკონომიკური ზარალი, რის გამოც მოხდა საერთო ბიუჯეტის შემცირება. შესაბამისად, შეიზღუდა ალტერნატიული ადგილობრივი დაფინანსების მიღების შესაძლებლობები, მაგალითად, მოსახლეობიდან შემოწირულობების მიღება, კერძო ბიზნესის ან თვითმმართველობის თანადაფინანსება და ა.შ. ფინანსური წყაროების შემცირების შედეგად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უფრო მეტად თავიანთ დანაზოგსა თუ შემოსავლის სხვა წყაროს უნდა დაეყრდნონ, მაგრამ ალტერნატიული შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ხშირად სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიებისა ან შესაბამისი კომპეტენცია, რომ გახდეს ფინანსურად დამოუკიდებელი. მაგალითად, სოციალური საწარმოს მუშაობის პრინციპი დღემდე არ არის ნათელი, არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან განჭვრეტადი სამართლებრივი რეგულაცია, რითაც მოწესრიგდებოდა სოციალური საწარმოების საქმიანობა და ორგანიზაციებიც შეძლებდნენ კონკრეტული ნორმებით ხელმძღვანელობას.

აღსანიშნავია, რომ შემოსავლის სხვა შესაძლო წყაროებზე, როგორიცაა გამოფენების ორგანიზება, ტრენინგები და საზაფხულო სკოლები, გავლენას ახდენს COVID -19 - ის პანდემია და დადგენილი რეგულაციების დაცვის მიზნით მსგავსი აქტივობების განხორციელებაც შეუძლებელია. ზოგიერთ ფინანსურად დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას პანდემიის გამო შეუმცირდა შემოსავლის ნაკადი, შემცირდა ან სულაც შეწყდა მათ ფასიან სერვისზე მოთხოვნილება და შესაბამისად მომსახურების მიწოდება, რაც პირდაპირ აისახა ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობაზე.

ასეთი მწვავე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის გარკვეული ნაწილი შეძლებისდაგვარად, უმკლავდება ფინანსურ გამოწვევებს: შემცირდა ფიქსირებული ხარჯები, კერძოდ ხელფასები, თუმცა პერსონალის შენარჩუნების მცდელობა ხშირად უშედეგოა და ორგანიზაციას უწევს მათი გათავისუფლება; გარკვეულმა ნაწილმა უარი განაცხადა თავიანთ ოფისებზე, ზოგიერთმა სამოქალაქო ორგანიზაციამ დაკარგა მოხერხებულად განლაგებული და იაფად გაქირავებული შენობა. ეს პროცესი უფრო მწვავე იყო რეგიონებში, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური სტაბილურობა ჯერ კიდევ სუსტია.

<sup>2</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მხარდაჭერა COVID-19 კრიზისის დროს

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში რეგიონებში უფრო მეტი რესურსია გამოყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, მხარდაჭერა უფრო მეტად იყო კონცენტრირებული პროექტის განხორციელებაზე, ვიდრე ორგანიზაციების გრძელვადიანი მდგრადობის განვითარებაზე. რეგიონში მომუშავე მრავალი თანამშრომლისთვის, სამუშაო ადგილები სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადგილობრივ დონეზე დასაქმების ძალიან მცირე შესაძლებლობებს შორისაა და შეიძლება ითქვას, რომ დასაქმებულთათვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. გრძელვადიან პერსპექტივაში, ბევრი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეს საშიშროებას წარმოადგენს, რადგან გამოიწვევს კვალიფიციური კადრების დაკარგვას. სამოქალაქო საზოგადოების ნიჭიერი და მიზანდასახული თანამშრომლები, რომლებიც პანდემიის გამო კარგავენ სამსახურს, საერთოდ დატოვებენ სექტორს ან ქვეყანას.<sup>3</sup>


პანდემიამ სააშკარაოზე გამოიტანა ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევები, როგორიცაა განუჭვრეტელობის განცდა, სტაბილურობის რისკი, გაურკვევლობის შეგრძნება, კონტროლის ნაკლებობა პროცესებზე. ეს კი მნიშვნელოვანდ აფერხებს გრძელვადიან დაგეგმარებას და აქტივობების განხორციელებას. პანდემიის დროს სამუშაო რეჟიმის ცვლილება ზოგიერთისთვის უმტკივნეული იყო, მაშინ, როდესაც ზოგიერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ამის გამო საქმიანობა მთლიანად შეჩერდა. ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება, შესაბამისად, ვალდებულებების შესრულება, რამაც რისკის ქვეშ დააყენა მათი სამომავლო თანამშრომლობა დონორებთან და ორგანიზაციისადმი სანდოობის საკითხი.

არსებული სიტუაციის გამო, ახალი პროექტების დაწყება გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული. უფლებრივი შეზღუდვების დაწესებამ გაართულა საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში წარმართვა, მაშინ როდესაც ორგანიზაციების უმეტესი აქტივობები პირისპირ შეხვედრებს მოიცავდა და სხვაგვარად ეფექტური შედეგის მიღწევა წარმოუდგენელი იყო. ახალი საქმის დისტანციურად წამოწყება ბევრ სირთულესთანაა კავშირში. ბენეფიციარებთან პირისპირ კომუნიკაციის გარეშე მნელი იქნება პროექტების განხორციელება. აქტივობების დასაგეგმად ხშირად აუცილებელია კარდაკარ სიარული და ბენეფიციარის შერჩევა. ყველა აქტივობის ონლაინ განხორციელება შეუძლებელია, ასევე ვერ განხორციელდება ეფექტური მონიტორინგი ვერ მოხდება პრობლემების ადვოკატირება.

პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ორგანიზაციების მიერ ბენეფიციარებისათვის სერვისების მიწოდება, დღის ცენტრებმა შეაჩერეს ბენეფიციარების მიღება. ასეთ

<sup>3</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მხარდაჭერა COVID-19 კრიზისის დროს

პირობებში დღის ცენტრით მოსარგებლე პირები იღებდნენ გარკვეულ სერვისებს: ჰქონდათ ონლაინ მუშაობის შესაძლებლობა, რომლებშიც ჩართულნი იყვნენ ფსიქოლოგებიც, მაგრამ ადამიანებთან პირისპირ მუშაობა უდავოდ უფრო ეფექტურია, განსაკუთრებით როცა საქმე სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისათვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას ეხება.



ონლაინ რეჟიმზე ადაპტირების აუცილებლობამ ხაზი გაუსვა არა მხოლოდ ტექნიკური უნარების, არამედ მენეჯმენტისათვის საჭირო უნარების ნაკლებობას. გუნდის დისტანციურად მართვაში თავი იჩინა რიგმა სირთულეებმა, ზოგიერთმა თანამშრომელმა სამსახურიც კი დატოვა. ბევრმა ორგანიზაციამ სტაჟირების პროგრამებიც გააუქმა, რამაც თანამშრომელთა უფრო მეტი დატვირთვა გამოიწვია.


კიდევ ერთი გამოწვევაა თანამშრომელთა სტრესის დონის ზრდა, სამუშაოების დატვირთვის გაზრდისა და საყოფაცხოვრებო მოვალეობების გადაფარვის გამო. ეს მძიმე ტვირთად აწვება განსაკუთრებით ბევრ ქალს, რომლებიც მუშაობენ სამოქალაქო საზოგადოების სექტორში და თვლიან, რომ იძულებულნი არიან ერთდროულად ფოკუსირდნენ სამუშაოსა და საშინაო საქმეებზე.<sup>4</sup>

ორგანიზაციების წინაშე მწვავედ დადგა ჰიგიენური და ვირუსის გავრცელების პრევენციისკენ მიმართული ზომების დაცვა, რაც პირდაპირ კავშირშია ფინანსებთან. პრევენციის მიზნით შესაბამისი ნორმების დაცვა მოითხოვს გარკვეულ ცოდნას, რესურსებს, მენეჯმენტს. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დანერგვა სასიცოცხლოდ

<sup>4</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მხარდაჭერა COVID-19 კრიზისის დროს

მნიშვნელოვანია ორგანიზაციებისათვის, რათა შეძლონ როგორც ონლაინ, ასევე ადგილზე აქტივობების უსაფრთხოდ განხორციელება.

ახალი გამოწვევის სახით მოგვევლიმა გარემოს დაცვის საკითხი, რადგან მოიმატა ნარჩენებმა, გაჩნდა ახალი დამაბინძურებლები: პირბადეები, სადენზინფექციო საშუალებების ცარიელი ბოთლები და ა.შ. რომლებიც საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებს ბუნებაში მდგრადობას.



COVID 19-ის პანდემიამ ხელი მეტად შეუშალა განათლების სფეროს და საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. რეგიონში მცხოვრებ მოსწავლეებს და ახალგაზრდებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა დისტანციურად მიეღოთ განათლება და ხელმისწვდომი ყოფილიყო მათთვის, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სერვისები. უმეტეს მათგანს არ აქვს შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობა და ინტერნეტი, რომ ჩართულიყო საგანმანათლებლო პროცესში. ზოგს კი აქვს მოწყობილობა, თუმცა არ გააჩნია შესაბამისი ტექნიკური უნარები სათანადოდ გამოიყენოს ის და ისარგებლოს შესაბამისი სიკეთეებით.

COVID-19-ის შედეგად გამოწვეულმა მოგზაურობის შიშმა და ჩაკეტილმა საზღვრებმა ყველაზე ნეგატიური გავლენა სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონია. მას შემდეგ, რაც სამოგზაურო შეზღუდვები უკვე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაზე გავრცელდა, ცხადია გავლენა ტურიზმის სფეროზე კიდევ უფრო გაიზარდა. უცხოელი ვიზიტორები მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ ქართულ ტურიზმში. სამოგზაურო შეზღუდვებმა და ჩაკეტილმა საზღვრებმა საქართველოს ტურისტული სექტორი დააზარალა და შეანელა ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესი.

პანდემიამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ადგილობრივ დონეზე სოციალური სერვისების შექმნისა და დახვეწის საჭიროებას, რომელიც ეფექტურად უპასუხებს ყველა სოციალური ჯგუფის საჭიროებას.

პანდემიის პროცესში ასევე გამოჩნდა ზრდასრულთა განათლების ცენტრების შექმნის აუცილებლობა, რათა ხელი შეეწყოს განათლების უწყვეტობას, ზრდასრულებს ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მრავალპროფილურ სერვისებზე, შესაძლებლობა გადამზადდნენ ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების მიმართულებით და შედეგად დასაქმდნენ.


პრიორიტეტულია ახალგაზრდების საკითხიც. რეგიონების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ახალგაზრდების გადინება და მათი სახით მუნიციპალიტეტის მამოძრავებელი ძალის დაკარგვაა. აუცილებელია შემუშავდეს ახალაგაზრდული პოლიტიკა, რაც დასახავს სამოქმედო გეგმას რეგიონში ახალგაზრდებისათვის მეტი შესაძლებლობის შექმნისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობდნენ COVID-19 -ის კრიზისის დროს მთავრობებთან იგივე დიალოგისა და ურთიერთობის შენარჩუნებას, როგორიც ადრე არსებობდა ამ ორ მხარეს შორის. პირისპირი შეხვედრების შეუძლებლობის გამო სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯარო მოხელეებს შორის არაფორმალური კონტაქტები შეწყდა და შეიზღუდა. მონაწილეობა ცალკეული სამინისტროების ინიციატივით ხდება, რომელთაც სურთ განაახლონ თავიანთი საკონსულტაციო ორგანოების მუშაობა ძირითადად ისეთ სფეროებში, რომლებიც COVID-19 -ის შემსუბუქებისკენაა მიმართული. სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხედავენ ახალ შანსებს ხელისუფლების მზარდ საჭიროებაში და უპირატესობას ანიჭებენ ონლაინ რეჟიმზე გადასვლას. მათი აზრით, მუშაობის ამგვარი მეთოდი რიგ სფეროებში უფრო ინკლუზიური მმართველობის შესაძლებლობებს შექმნის.<sup>5</sup>

ძალიან მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა და ჩართულობა მსგავს კრიზისულ სიტუაციებში. სამოქალაქო საზოგადოება, ეს არის ის საჭირო

<sup>5</sup> აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის მხარდაჭერა COVID-19 კრიზისის დროს

ორგანიზმი, ცოცხალი წარმონაქმნი, რომელიც მიმდინარე პროცესების თანადროულად ვითარდება, იცვლება და გარემოსთან ადაპტირდება. ასეთ პროცესებში მათი ჩართულობა, აქტიურობა, თავდაუზოგავი შრომა, საჭიროებების იდენტიფიცირება, სწორი გეგმების დასახვა, ეფექტური ღონისძიებების განხორციელება არის უმნიშვნელოვანესი. სამოქალაქო საზოგადოების მიერ სწორად შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, შერჩეული კურსი და აქტიური მოქმედება ყოველთვის ეფექტურია და რეალურ შედეგს იძლევა. COVID-19 პანდემიის პროცესში დიდი სამუშაო გასწიეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, საინიციატივო ჯგუფებმა, პანდემიის დროს შექმნილმა მოხალისეობრივმა ჯგუფებმა, რომელთაც აქტიური როლი ითამაშეს რისკის ქვეშ მყოფი პირების დახმარებაში.



## რეკომენდაცია

აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც COVID 19-ის პანდემიის მსგავს კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფოს და საზოგადოებას თავიდან აარიდებს რიგ ხარვეზებს და დროულად უპასუხებს გამოწვევებს:

- პანდემიამ ნათლად დაანახა სამოქალაქო სექტორს თუ რამდენად აუცილებელია კრიზისების მართვის გეგმის შემუშავება, კარგი მენეჯმენტის გეგმის შექმნა და კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეტაპობრივი მოქმედება. სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ გრძელვადიანი ხედვები, საჭიროა წინასწარ განისაზღვროს პროექტების ადმინისტრაციულ და

ორგანიზაციის განვითარებაზე მიმართული ხარჯები. ასევე ტექნიკური უნარებით აღჭურვა და ამ ცოდნის მოწყვლადი ჯგუფებისათვის გადაცემა.

- მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი, გააჩნდეთ დაფინანსების ალტერნატიული წყაროები და კრიზისულ სიტუაციებში მარტივად მოახდინონ საქმიანობის ადაპტირება. ასევე ფინანსების მობილიზება, რათა მცირე შეფერხებამაც არ შეუქმნას ორგანიზაციის არსებობასა და მდგრადობას საფრთხე. ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი ცოდნისა და კომპეტენციების შემენა, ორგანიზაციის თანამშრომლების სათანადო გადამზადება.
- კრიზისული სიტუაციებიდან თავის დასაღწევად, ისევე როგორც ჩვეულ რეჟიმში მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის მიღება, ამიტომაც რეკომენდაციაა საგრანტო კონკურსების გამოცხადების დროს ორიენტირებას ნუ მოახდენენ მხოლოდ კონკრეტულ მიმართულებებზე და განვითარების შესაძლებლობა მიეცეთ რეგიონულ დონეზე მომუშავე ვიწრო პროფილის მქონე მცირე ორგანიზაციებს. განსაკუთრებით ახლადწარმოქმნილ ორგანიზაციებს მიეცეთ დაფინანსების მიღების შესაძლებლობა, რადგან სხვაგვარად წარმოუდგენელია მათი განვითარება და სამოქალაქო სექტორში სტაბილურად არსებობა.
- პანდემიის პერიოდში კიდევ უფრო წინ წამოიწია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის უფრო მეტი და ეფექტური კოორდინაციის საკითხი, ასევე, პროაქტიული კომუნიკაციის საჭიროება.

ბოლოს კი, როგორც ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყველა კრიზისში უნდა დაინახონ საჭიროება, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დაანახონ ეს საჭიროება და კრიზისი აქციონ შესაძლებლობად“.